

საქართველოს  
საინჰინირო  
ცენტრის  
განცდა

სსს

3'16

GEORGIAN  
ENGINEERING  
NEWS

GEN

ISSN 1512-0287

საქართველოს  
საინჰინირო  
ციბალური

GEORGIAN  
ENGINEERING  
NEWS

**No.3 (vol. 79), 2016**

# **GEORGIAN ENGINEERING NEWS, No. 3, 2016**

**International Engineering Academy  
Georgian Engineering Academy**

**Editor-in-Chief: Mindia Salukvadze**

## **EDITORIAL BOARD**

<b>Demur Chomakhidze</b>	<i>Tbilisi, Georgia</i>
<b>Guram Javakhadze</b>	<i>Tbilisi, Georgia</i>
<b>Peter Bielik</b>	<i>Nitra, Slovakia</i>
<b>Ivan Gorgidze</b>	<i>Tbilisi, Georgia</i>
<b>Boris Gusev</b>	<i>Moscow, Russia</i>
<b>Paata Kervalishvili</b>	<i>Tbilisi, Georgia</i>
<b>Vladimir Kekelidze</b>	<i>Dubna, Russia</i>

<b>Romualdas Ginevičius</b>	<i>Vilnius, Lithuania</i>
<b>Oleg Namicheishvili</b>	<i>Tbilisi, Georgia</i>
<b>Dmitry Novikov</b>	<i>Moscow, Russia</i>
<b>Archil Prangishvili</b>	<i>Tbilisi, Georgia</i>
<b>Rolf D. Shraft</b>	<i>Stuttgart, Germany</i>
<b>Irakli Zhordania</b>	<i>Tbilisi, Georgia</i>

,

## **EDITORIAL STAFF:**

**David Gorgidze, Alexander Dolidze, Leila Kobelashvili  
and Ketevan Makhashvili**

## **NGO Georgian Engineering News (GEN) LTD**

**Address: TECHINFORMI Tbilisi 0179, Kostava 47  
Tel.: 995 (32) 2335315, 2335122  
Fax: 995 (32) 2335122  
[e-mail:nellym@caucasus.net](mailto:nellym@caucasus.net)  
Internet: [www.tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net)**

**Copyright © by GEN LTD**



ეძღვება საქართველოს და საერთაშორისო საინჰინერო აკადემიების  
აკადემიკოსის, გურიანის მთავარი რედაქტორის  
ვლადიმირ დოლიძის სიოცნეს

**ПОСВЯЩАЕТСЯ ПАМЯТИ АКАДЕМИКА ИНЖЕНЕРНОЙ АКАДЕМИИ ГРУЗИИ И  
МЕЖДУНАРОДНОЙ ИНЖЕНЕРНОЙ АКАДЕМИИ,  
ГЛАВНОГО РЕДАКТОРА ЖУРНАЛА В.А. ДОЛИДЗЕ**

**DEDICATED TO THE MEMORY OF VLADIMIR DOLIDZE  
MEMBER OF THE INTERNATIONAL AND GEORGIAN ENGINEERING ACADEMIES,  
EDITOR IN CHIEF OF GEN**

## ПАМЯТИ ВЛАДИМИРА АЛЕКСАНДРОВИЧА ДОЛИДЗЕ

*Лауреат Государственной премии СССР, доктор технических наук, профессор, академик, действительный член Международной Инженерной Академии, член президиума Инженерной академии Грузии, вице-президент Академии экологических наук Грузии, выдающийся ученый в области аналитического приборостроения, ионоселективных материалов, физической и аналитической химии.*

В.А. Долидзе родился 25 апреля 1932г. в Тбилиси в интеллигентной семье. Отец Александр Долидзе – в войну командовал пограничными войсками, мама Ирина Шхиани – из семьи священника. После окончания школы Владимир поступил в Московский химико-технологический институт им. Д.И. Менделеева (Российский химический университет). Его преподаватели - ученые с мировыми именами.

В институте он учился хорошо, уже тогда обнаружив основные черты характера: настойчивость в достижении знаний, педантичность и упорство в труде, энергичность в общении и горячность в отстаивании точки зрения. Острый ум, обаяние, любознательность и невероятное стремление к достижению своих целей. Вот таким был в юности будущий выдающийся ученый, успешный организатор и сильный, грамотный руководитель.

Владимир Долидзе прошел путь от рядового инженера НПО «Аналитприбор» до зам. генерального директора. Тридцать семь лет он посвятил деятельности на этом предприятии.

Еще молодым специалистом он возглавил ряд основополагающих тематик. Для развития в СССР отрасли аналитического приборостроения – pH-метрии требовалось разработать и освоить серийно электроды, приборы, комплексы и системы. За десять лет (1959-1969 гг.) эта задача была выполнена. Разработано и широко распространено в Союзе крупносерийное производство средств pH-метрии. Это привело к огромному экономическому эффекту в масштабах всей страны.

В 1973 г. за цикл работ по теории стеклянного электрода и электродным свойствам материалов В.А. Долидзе удостоен Государственной премии СССР в области науки и техники.

Научный и практический интерес Владимира Долидзе был связан со становлением и развитием pH-метрии и ионометрии в Союзе. Особый его интерес – экстремальные условия. Именно с этой областью связана его докторская (и кандидатская) диссертация, которую Владимир защитил в ГНОХИ им. Вернадского в 1984г. Его теоретические работы по образованию потенциала в твердых телах и многочисленные изобретения способствовали развитию ионометрии на современном уровне, включая возможность создания широкой номенклатуры измеряемых ионов, сенсоров на основе полупроводников и датчиков для бесконтактного измерения.

В интересах различных отраслей промышленности, научных исследований медицины, биологии, экологии совместно с другими руководителями работ Владимир Долидзе также развивал традиционные направления организации: спектрометрию, атомную абсорбциометрию, турбидиметрию, кондуктометрию, гигрометрию, титрометрию и др.

Долгие годы В.А. Долидзе был Главным конструктором электрохимического приборостроения.

Значимый этап его деятельности в 70-80-х гг. – это руководство работами по разработке приборов и автоматизированных систем морского назначения. И сегодня эти приборы с успехом выполняют свои функции на многих надводных и подводных судах, обеспечивая надежную работу атомных энергетических установок.

В 1985г. Министр приборостроения СССР М.С. Шкабардня в письме в адрес Президиума Академии наук Грузии подчеркнул: «*Практически все выпускаемые предприятиями Минприбора СССР pH-метры и ионометры созданы с использованием результатов работ В.А. Долидзе.*

Владимир Долидзе в последние годы работал профессором на кафедре информационно-измерительной техники Грузинского технического университета, был членом Комиссии по присуждению ученых степеней, а также - экспертом Американского библиографического

института (ABI), трудился в НИИ экспериментальной и клинической медицины Тбилисского государственного медицинского университета.

В.А. Долидзе вел активную редакторскую деятельность: принимал участие в составлении и выпуске более тридцати изданий. Под его научным руководством и консультировании выполнены ряд докторских и кандидатских диссертаций.

В 1996г. Владимир Александрович под патронажем Инженерной академии основал научный журнал “Georgian Engineering News” (ISSN 1512-0287), и был его бессменным главным редактором. *Основные научные достижения В.А. Долидзе отражены в его трудах. Его разработки отмечены пятью золотыми медалями ВДНХ СССР. В.А. Долидзе является автором около 200 опубликованных работ, 2 монографии, 74 изобретения и 22 зарубежных патента в США, Великобритании, Германии, Франции, Японии и др. странах.*

Владимир Александрович Долидзе имел правительственные награды – “Орден Чести”, орден “Знак Почета”, несколько медалей.

Порой человеку, чтобы прожить насыщенную, яркую жизнь, хватает только одного таланта в какой-либо одной области. Владимир Долидзе был щедро одарен многими выдающимися качествами. Он был подобен химическому элементу - титану: легкий и прочный. Исключительной силы ума и твердости духа, истинный титан науки.

**პროცესორ გლუდიმიძის დოკუმენტის ხსრვნას**

ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სერჯ-ს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, უკრნალ „Georgian Engineering News“-ის მთავარი რედაქტორი, პროფესორი ვლადიმერ დოლიძე.

ბატონი ვლადიმერი ერთ-ერთი პიონერი გახდედათ სერჯ-ში pH- და იონომეტრის ჩამოყალიბების და განვითარების საქმეში. 1956 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ანალიზელსაწყო“-ში, სადაც გაიარა გზა ინჟინრიდან - გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემდე სამეცნიერო დარგში (1972-1993წწ.).

ვ. დოლიძის მიერ შესრულებული იქნა ფუნდამენტალური სამუშაოები ანალიზური ტექნიკის საშუალებების - პირველადი გარდამქმნელებისა და ხელსაწყოების შემუშავებისათვის.

ვ. დოლიძის მიერ მიღებული შედეგები ფართოდ არის გამოყენებული ელექტროდების, გადამწოდების, pH-მეტრების, იონომეტრების შესაბამის სამეცნიერო-ტექნიკურ დოკუმენტაციებში. მის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა pH- და იონომეტრის საშუალებების ფართომასშტაბიანი წარმოება გომელის საზომი ხელსაწყოების ქარხანაში (ЗИП) და თბილისის სხვ „ანალიზელსაწყოს“ ქარხანაში.

მინის ელექტროდის და მასალების ელექტროდული თვისებების თეორიის სამუშაოების ციკლისათვის 1973 წელს ვ. დოლიძეს მიენიჭა სერკ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ვ. დოლიძე ავტორი იყო 200-ზე მეტი ნაშრომის, რომლებიც გამოქვეყნებულია პრესტიულ გამოცემებში და სამეცნიერო კონფერენციების შრომებში; საავტორო მოწმობების გამოვლენაზე და საზღვარგარეთის პატენტების (აშშ, ინგლისი, გვრ, იაპონია და სხვ); სასწავლო სახელმძღვანელოების (ესპანეთ ენაზე კუბელი სტუდენტების და სპეციალისტებისთვის), მეთოდური მითოთებების, სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების.

1986 წ. ვ. დოლიძე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საინფორმაციო-საზომი ტექნიკის პათოდრაზე), ხოლო 2006წ. წელს კონგრესით არჩეული იქნა სრულ პროფესორად.

ბატონი ვლადიმერი ეწეოდა აქტიურ სარედაქციო საქმიანობას, როგორც მთავარი რედაქტორი და რედაქტორი მონაწილეობდა 30-ზე მეტი გამოცემის შედგენასა და გამოშევბაში.

ვ. დოლიძე დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნისა“ და „დირსების ორდენით“ და სხვა სახელმწიფო ჯილდოვებით. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებულია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები.

ვ. დოლიძე იყო სამეცნიერო ხარისხების მინიჭების სადისერტაციო საბჭოს წევრი და აგრეთვე ამერიკული ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის ექსპერტი (ABI).

ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1982-1993წწ.) ვ. დოლიძე იყო სერჯ-ს ელექტროქიმიური ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს მთავარ კონსტრუქტორი.

ბატონი ვლადიმერი 1996 წლიდან იყო სამეცნიერო უკრნალ „Georgian Engineering News“-ის მთავარი რედაქტორი.

პროფესორი ვ.დოლიძე ქართული საინჟინრო მეცნიერების ჰერმარიტად გამორჩეული წარმომადგენელი გახდედათ. მან თავისი მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებით ფართო საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მის სახელს და ნადგავს არ დაივიწყებს მაღლიერი შთამომავლობა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საქართველოს საინჟინრო აკადემია  
უკრნალ „Georgian Engineering News“-ის რედაქტორი**

შესაბამისი - СОДЕРЖАНИЕ

ვლადიმერ ღოლიძის წერვა	3
გაისური ქსელი სადაზღვევო კომპანიის ზარალის ალგორითმის შესაფასებლად «ხმაურიანი ან» მოდელის საფუძვლები ერანგიშვილი ა.ი., ნაძიევიშვილი ნ.მ.	9
ხელშემდებრადი კოდების აბების შესაძლებლობები მესერზე შავველიძე ს.ა., წიკლაური გ.ზ., ახანიძე ა.გ., მოგრალაშვილი თ.ო.	18
<b>ИЗМЕНЕНИЕ СВОЙСТВА D-ОПТИМАЛЬНОСТИ ДВУХКОМПОНЕНТНОГО СИМПЛЕКСНОГО ПЛНА ПЕРВОГО ПОРЯДКА ПРИ НАЛОЖЕНИИ ОТЛИЧАЮЩИХСЯ ПОГРЕШНОСТЕЙ</b> <i>Бочоридзе Е.В., Берая Н.О., Гварамия Е.Г.</i>	23
<b>ОПРЕДЕЛЕНИЕ НАЛИЧИЯ РАЗБРОСОВ И ВЫБРОСОВ ПРИ МЕЖЛАБОРАТОРНЫХ СЛИЧЕНИЯХ С ПОМОЩЬЮ КРИТЕРИЯ ГРАББСА</b> <i>Кароян И.Б., Берая Н.О., Токадзе Л.Ш.</i>	27
<b>МНОГОЦЕЛЕВОЕ МОБИЛЬНОЕ ЗОНДОВОЕ УСТРОЙСТВО</b> <i>Микиртичян А.Л., Тутунджян А.А.</i>	32
ჰარბი პარტნერის დაყოფის ალგორითმი მათი დოკუმენტი ხანძრძლივობების მიხედვით ნატროშვილი ო.გ., რობიტაშვილი ა.გ.	35
კორპორაციულ ინტერა და ექსტრაქსელებაში მონაცემთა გადაცემის კონტროლის ერთი მეთოდის შესახებ ნატროშვილი ო.გ., რობიტაშვილი ა.გ.	37
გამონაკლივას საბუთარი კლასების შემუშავება Java პერსონალის განვითარებისათვის დ.ფ., გურჯუმული ნ.გ., ნონიკაშვილი ლ.ა.	40
<b>MANAGEMENT OF MACROECONOMIC DYNAMIC MANUFACTURING SYSTEMS</b> <i>Kadagishvili L.G.</i>	43
<b>ГИПОТЕЗА О БАЗОВОМ ОПЕРАТОРЕ ИНДУКТИВНОЙ ЛОГИКИ</b> <i>Лежава Г.Г., Камкадзе И.Ш., Берикшивили З.И., Мкртычян Э.М., Канделаки М.К., Вардосанидзе А.К.</i>	48
სავარული ზედაპირის მძონე სიმეტრიული კონცენტრატორის ბათვლა შალამბერიძე დ.მ., ზარდიაშვილი დ.გ., ავალიანი ი.მ., ქორბახია ი.ი.	52
ლინეარული ცენტრირების მითოდების ანალიზი ივანიძე ი.დ., ქორბახია ი.ი., დეკანოვი გ.გ., ავალიანი ი.მ.	55
<b>О ПАЛЕОГЕОГРАФИИ АКВАТОРИИ ОЛИГОЦЕН-РАННЕМИОЦЕНОВОГО ПАЛЕО-ЧЕРНОГО МОРЯ</b> <i>Махарадзе А.И.</i>	58
<b>SYNTHESIS AND CHARACTERIZATION OF Fe-DOPED CARBON NANOBELTS</b> <i>Kutelia E.R., Rukhadze L.N., Jalabadze N.V., Dzigrashvili T.A., Gventsadze D.I., Tsurtsumia O.O., Kukava T.G.</i>	61
<b>POLYMERIC COMPOSITIONS OBTAINED ON THE BASE OF BISPHENOL-FORMALDEHYDE OLIGOMERS</b> <i>Papava G.Sh., Gurgenishvili M.B., Dokhturashvili N.S., Chitrekishvili I.A., Gavashelidze E.Sh., Gelashvili N.S. and Chubinishvili Z.N.</i>	65

**PLASTIC MATERIALS BASED ON NOVOLAC COMPOSITIONS FORMED IN MELT**

*Molodinashvili Z. P., Khetsuriani N.T., Chkhaidze M.N., Topulia E.N.,  
Mchedlishvili I.J. and Shatakishvili T.N.*

**68**

**THE EFFECT OF THE HARDENER AND FILLER ON THE PROPERTIES  
OF NOVOLAC COMPOSITIONS**

*Molodinashvili Z.P., Khetsuriani N.T., Chkhaidze M.N., Goderdzishvili K.G.,  
Mchedlishvili I.J. and Usharauli E.A.*

**71**

**MATHEMATICAL-CHEMICAL INVESTIGATION OF HALOGENBENZENES**

*Gverdtsiteli M.I., Lobzhanidze L.V., Rtskhiladze N.I.*

**73**

**MODELING OF THE SYNTHESIS OF SULFANILAMIDE DIGLUCOSIDE  
BY A QUANTUM CHEMICAL METHOD**

*Shengelia N.G., Pachulia Z.V., Tabatazde L.V., Gakhokidze R.A.*

**75**

**РОЛЬ ОКИСЛИТЕЛЬНЫХ ПРОЦЕССОВ РАСТЕНИЯ В  
УСТОЙЧИВОСТИ К ИНФЕКЦИОННЫМ ЗАБОЛЕВАНИЯМ**

*Канчавели Ш.С.*

**79**

**СВЕРХЧУВСТВИТЕЛЬНОСТЬ КАК ФАКТОР ИММУНИТЕТА РАСТЕНИЙ**

*Канчавели Ш.С.*

**83**

**МЕДИЦИНСКИЙ И БИОАКТИВНЫЙ ТЕКСТИЛЬ**

*Паилодзе Н.О., Буадзе Е.П., Бочоришвили Р.И.*

**86**

მოხარეებისათვის ჩატოვნებული ჩასაფეხი მრთოდაბაშის  
გენების ცენტრული გენომი

*ქათამაძე ა.გ. კიბნაველიძე ლ.გ.*

**88**

*ვლადიმერ ვალიურავგოლი – 80*

**91**

*ეფუარდ გერსამია – 80*

**93**

ბაისური მსელი სადაც გვევო პომპანის ზარალის ალბათობის შესაფასებლად  
«ხმაურიანი ან» მოდელის საფუძველზე

ფრანგიშვილი ა.ი., ნამიჩევიშვილი ნ.ო.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**შესავალი.** ცოდნის წარმოდგენამ და დასკვნის გამოტანამ ამ წარმოდგენებიდან მრავალი მოდელი დაბადა. ალბათური გრაფიკული მოდელები და კერძოდ 1980-იან წლებში ჯუდია პერლის (Judea Pearl) მიერ შემოტანილი ბაიესური ქსელები [1] ძალიან პრაქტიკული ინსტრუმენტი აღმოჩნდა განუსაზღვრელი ცოდნის წარმოსადგენად და დასკვნის გამოსატანად არასრული ინფორმაციიდან.

ბაიესური  $\mathcal{B} = (G, \theta)$  ქსელი განისაზღვრება შემდეგი კომპონენტებით:

- $G = (X, E)$  მიმართული (ორიენტირებული) აციკლური გრაფით, რომლის წვეროები დაკავშირებულია შემთხვევითი ცვლადების  $X = \{X_1, \dots, X_n\}$  სიმრავლესთან;
- ყოველი  $X_i$  კვანძის  $G$  გრაფში წარმოდგენილი მისი  $Pa(X_i)$  მშობლების მიმართ პირობითი ალბათობების  $\theta = \{P(X_i | Pa(X_i))\}$  სიმრავლით.

ამრიგად, ბაიესური ქსელის გრაფიკული ნაწილი ასახავს დამოკიდებულებას ან დამოუკიდებლობას ცვლადებს შორის და ცოდნის წარმოდგენის ვიზუალურ საშუალებას იძლევა, რომელიც გაცილებით უფრო გასაგებია ამ ცვლადების გამომცემებისათვის. გარდა ამისა, ალბათობათა გამოყენება განუსაზღვრელობის გათვალისწინების საშუალებასაც იძლევა ცვლადებს შორის დამოკიდებულებათა რაოდენობრივი შეფასების გზით. ეს ორი თვისება თავდაპირველად საუკუნვლად კდო ბაიესური ქსელების სახელწოდებას - «ალბათური საექსპერტო სისტემები», სადაც გრაფი გაიგივებული იყო კლასიკურ საექსპერტო სისტემის წესებისა და ამ წესებზე განუსაზღვრელობის რაოდენობრივი შეფასების ამსახველი პირობითი ალბათობების სიმრავლესთან.

ჯ. პერლმა და მისმა თანაავტორებმა ასევე უწვენეს, რომ ბაიესურმა ქსელებმა საშუალება მისცა მათ კომპაქტურად წარმოდგინათ ცვლადთა სიმრავლესთან დაკავშირებული ალბათობების განაწილება:

$$P(X_1, X_2, \dots, X_n) = \prod_{i=1}^n P(X_i | Pa(X_i)).$$

გლობალური ფუნქციის ეს დაშლა (დეკომპოზიცია) ლოკალური გამოსახულებების ნამრავლად, რომლებიც დამოკიდებულია მხოლოდ შესაბამის კვანძსა და მის მშობლებზე გრაფში, არის ბაიესური ქსელების ძირითადი, ფუნდამენტური თვისება. ეს საფუძველი გახდა დასკვნის გამოტანის იმ ალგორითმების დასამუშავებლად, რომლებითაც მოდელის ნებისმიერი ცვლადის ალბათობის გაანგარიშება ხდება სხვა ცვლადების ამავე კერძო დაკვირვებიდან.

ეს პრობლემა, როგორც დამტკიცდა,  $NP$ -სრული ამოცანების კლასს მიეკუთვნება, მაგრამ მან მიგვიყვანა სხვადასხვა ალგორითმამდევ, რომლებიც შეიძლება გაუტოლდეს გრაფში ინფორმაციის გავრცელების (პროპაგაციის) მეთოდებს. ცხადია, ეს მეთოდები იყენებს  $P(X_i | X_j)$  პირობითი ალბათობის ცნებას (როგორია  $X_i$  ცვლადის ალბათობა, თუ ცნობილია, რომ დაკვირვებული იყო  $X_j$  ცვლადი) და ასევე ბაიესის თეორემას, რომელიც,  $P(X_i | X_j)$  ალბათობის ცოდნისას, პირიქით,  $X_j$  ცვლადის ალბათობის დადგენის საშუალებას იძლევა  $X_i$  ცვლადის პირობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი «ბაიესური ქსელი» აბნევს კიდევ, სინამდვილეში იგი არ წარმოადგენს ბაიესურ მოდელს ამ ტერმინის წმინდა სტატისტიკური გაგებით, რომელიც გულისხმობს კანონის განსაზღვრას ცვლადის აპრიორული პარამეტრებით, ხოლო შემდეგ ამ კანონის ცვლილებას მიღებული მონაცემების გამოყენებით. ზუსტად რომ ვთქვათ, ბაიესური ქსელის სახელწოდებით დღეს ცნობილია ალბათური გრაფიკული მოდელი, რომელიც ბაიესის თეორემას იყენებს მხოლოდ «ლოგიკური დასკვნისათვის».

პრობლემის მოდელირებაშ ბაიესური ქსელით, შემდეგ დასკვნის გამოტანის ალგორითმების გამოყენებამ, აქციეს ბაიესური ქსელი იდეალურ ინსტრუმენტად მსჯელობისა და დიაგნოსტიკისათვის არასრული ინფორმაციის პირობებში.

ბაიესური ქსელი ცვლადების სიმრავლესთან დაკავშირებული ალბათობის კანონის ეფექტურ მოდელირებას ახდენს. ამიტომ იგი განსაკუთრებით შესაბამისი ფორმალიზმია სტოქასტიკური შერჩევის მეთოდის გამოსაყენებლად. ეს კი მოდელირებისათვის საჭირო სასურველი მონაცემების გენერირების საშუალებას იძლევა. მაშასადამე, ბაიესური ქსელი მოდელირების ინსტრუმენტია, რაც სისტემაზე დაკვირვების საშუალებას აძლევს ექსპერტს ისეთ ვითარებაში, როცა სისტემის სავალდებულო ტესტირების შესაძლებლობა არც კი არსებობს.

დასკვნის გამოტანის ალგორითმებთან პარალელურად, შემოთავაზებული იყო სხვა მიღების ანალიზისადმი, გამომდინარე მონაცემებიდან ან ექსპერტიზებიდან, ასევე ცნობილი სტრუქტურის ბაიესური ქსელის ცვლადებს შორის დამოკიდებულებათა რაოდენობრივად ამსახველი პირობითი ალბათობებიდან. ამიტომ ასეთი რაოდენობრივი შეფასებების მეთოდების დამკვიდრება, განსაკუთრებით სადაზღვევო ინდუსტრიაში, მნიშვნელოვანია.

მათი უპირატესობაა ექსპერტის ჩართვის შესაძლებლობა რამდენიმე დონეზე, ასევე საჭირო პარამეტრების მთლიანად განსაზღვრა ალბათობათა ელისიტაციის ან სხვა მეთოდით, რომელიც დამუშავებულია ცოდნათა ინჟინერიაში. საპირისპიროდ ამისა, შეიძლება ასეთი გამოთვლების ჩასატარებლად მხოლოდ ექსპერიმენტული მონაცემებით სარგებლობა სტატისტიკურ შეფასებათა მეთოდების გამოყენებით. ამ ორ ალტერნატიულ მიდგომას შორის შეფასების ბაიესური მეთოდები დგას. ისინი სტატისტიკური მონაცემებისა და ექსპერტის მიერ დადგენილი აპრიორული ცოდნის ერთობლივად გამოყენების საშუალება იძლევა.

**სმაურიანი ან ელემენტის მოდელი.** ზოგიერთ სისტემაში, სადაც ნდობის ბაიესური ქსელია რეალიზებული, გამოიყენება ე.წ. Noisy-Or gate ანუ სმაურიანი ან ელემენტის მეთოდი, რომელიც გამოთვლის პროცესის არსებითი გამარტივების საშუალებას იძლევა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქსელში  $Y$  წვერო (ეფექტი ანუ შედეგი) შეიძლება იყოს პირობითად დამოუკიდებელი მოქლი რიგი  $X_i$  წვეროსგან (მიზეზის-გან), სადაც  $i = 1, 2, \dots, n$ . იმისათვის, რომ შემცირდეს  $2^n$  რაოდენობის ალბათობათა შეფასება, რომლებიც საჭიროა პირობით ალბათობათა ცხრილების გამოყენებისას, სწორედ მოცემულ მეთოდს მიმართავენ.

სმაურიანი ან ელემენტის მოდელი (Noisy-OR gate model) არის მიზეზ-შედეგობრივ ზემოქმედებისგან დამოუკიდებელ მოდელებად ცნობილი (ICI – Independence of Causal Influences) ოჯახის წარმომადგენელი [2-14]. ამ მოდელს გამარტივების მიზნით საფუძვლად უდევს დაშვება იმის შესახებ, რომ სამოდელირებელ მიზეზებსა და მათი მოქმედების საერთო ეფექტს (შედეგს) შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება არ არსებობს.

სიტყვა «სმაურიანი» ასახავს იმ ფაქტს, რომ თანამოქმედება მიზეზ(ებ)სა და ეფექტს (შედეგს) შორის არ არის დეტერმინირებული და, ამრიგად, დასაშვებია ეფექტის (შედეგის) არსებობა სამოდელირებელი მიზეზების გარეშეც. შეიძლება ჩაითვალოს, რომ სმაურიანი ან ელემენტი (Noisy-OR gate) არის დეტერმინირებული ბინარული (ორობითი) ან მოდელის ალბათური გაფართოება.

სმაურიანი ან-ის (Noisy-OR) მოდელი ფორმალურად შეიძლება აღიწეროს სათანადო განტოლებებით რამდენიმე შესაძლო  $X_1, X_2, \dots, X_n$  მიზეზისა და  $Y$  ეფექტისათვის ორი დაშვების პირობებში: ა) ყოველ  $X_i$  მიზეზს შეუძლია გარკვეული ალბათობით გამოიწვიოს ხევნებული  $Y$  ეფექტი დანარჩენი მიზეზების არარსებობისას და ბ) ყოველი მიზეზი საკმარისად დამოუკიდებელია სხვა მიზეზებისგან. მაშასადამე:


$$P_i = P(y | x_i \text{ მარტივი }) = P(y | \overline{x_1}, \overline{x_2}, \dots, \overline{x_i}, \dots, \overline{x_{n-1}}, \overline{x_{n-2}}).$$

$P_i$  ალბათობას სხვანაირად ბმის ალბათობასაც უწოდებენ (*link probability*) და იგი გამოხატავს მიზეზ-შედეგობრივი სიმტკიცის დონეს სხვა მიზეზების არარსებობისას. ნაჩვენებია [1], რომ  $y$  ეფექტის ალბათობა მოცემული  $X_p \equiv X_p(x_i \text{ აქტიური})$  ქვესიმრავლის პირობებში შემდეგი თანაფარდობით განისაზღვრება:

$$P(y | X_p) = 1 - \prod_{i|x_i \in X_p} (1 - p_i),$$

სადაც  $p$  ინდექსი  $X_p$  ნოტაციაში შეესაბამება ინგლისურ სიტყვას *present*, რაც მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს მიმდინარე მომენტში აქტივირებული (ე.ი. ინვერსის, უარყოფის ნიშნის გარეშე ჩაწერილი) მიზეზების ერთობლიობას.

სადაზღვევო კომპანიის ზარალის ალბათობის შეფასება. ნახ. 1-ზე მოცემულ აბსტრაქტულ ბაიესურ ქსელს კონკრეტული შინაარსი მიგვეთ სადაზღვევო ინდუსტრიის პრობლემათა გადასაჭრელად.



ნახ. 1. მარტივი ბაიესური ქსელი სადაზღვევო კომპანიის ზარალის ალბათობის შესაფასებლად

სახელდობრ, დავუშვათ, რომ სადაზღვევო კომპანიამ შეიძლება ზარალი განიცადოს მართვის შეცდომის ( $X_1$  მშობელი), სელექციური შეცდომის (საინვესტიციოდ ობიექტის შერჩევისას დაშვებული შეცდომის,  $X_2$  მშობელი) და თაღლითური სარჩლის ( $X_3$  მშობელი) გამო, ხოლო თავად ზარალი, რომელიც შეიძლება ამ მიზეზებს თან ახლდეს, ჩავთვალოთ  $Y$  შვილად. ოთხივე სიდიდე ბინარულ შემთხვევით ცვლადებად მივიჩნიოთ ლოგიკური True/ჭეშმარიტი ( $y, x_1, x_2, x_3$ ) და False/მცდარი ( $\bar{y}, \bar{x}_1, \bar{x}_2, \bar{x}_3$ ) მნიშვნელობებით.

«Noisy-OR» («ხმაურიანი ან») მოდელის მიერ ხდება განუსაზღვრელობის (საჭერობის, უცნობობის) ჩაშენება (ინკორპორირება) მშობლის კვანძისა და შვილის კვანძის მიზეზ-შედეგობრივ (კაუზალურ) დამოკიდებულებაში - კავშირში მშობელსა (მიზეზსა) და შვილს (შედეგს) შორის, რომელსაც, ჩვენს მაგალითში სადაზღვევო სფეროდან, გააჩნია შემთხვევითი ხასიათი და ასეთი კავშირი უკვე არ არის დატერმინისტული. ამიტომ ზარალი, ბუნებრივია, მივიჩნიოთ შემთხვევით ორობით სიდიდედ. მართლაც, სადაზღვევო კომპანიას შეიძლება გააჩნდეს მართვის შეცდომა (მიზეზი, მშობელი) ზარალის (შედეგის, შვილის) გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ შეცდომამ მართვაში გავლენა ზარალზე ამ შემთხვევაში არ იქნია. მაგალითი ემორჩილება ორ ჰიპოთეზასაც. ჯერ ერთი, უეჭველია, რომ ყველა შესაძლო მიზეზი (საბაბი, საფუძველი) ადგილად ინომრება. (თუ ზოგიერთი მიზეზი გვაკლია, ყოველთვის შესაძლებელია არარსებული კვანძის დამატება, რომელიც აღმოჩნდება კატეგორიაში «სხვა მიზეზი»). მეორე და, ნებისმიერი მშობლის ზემოქმედება (კომპანიის ზარალთან მიმართებაში) დამოუკიდებელია ყველა დანარჩენი მშობლის ზემოქმედებისგან. მაგალითად, ის, რაც ხელს უშლის მართვის შეცდომას გამოიწვიოს კომპანიის დანაკარგის პროვოცირება, დამოუკიდებელია იმისგან, რაც ხელს უშლის სელექციურ შეცდომას გამოიწვიოს კომპანიის დანაკარგების პროვოცირება.

ამ პირობებში საკმარისია შემოვიტანოთ არსებულ სტატისტიკაზე ან ექსპერტთა აზრზე დაყრდნობით მხოლოდ სამი შემდეგი ალბათობა:

- $P_{\text{ართვა}} = \text{ზარალის გამომწვევი მართვის შეცდომის ალბათობა} \mid \text{სხვა მიზეზების არარსებობისას};$

- $p_{\text{სერული}} = \text{ზარალის გამომწვევი } \overline{\text{სელექციური შეცდომის}} \text{ (საინვესტიციოდ ღია შერჩევის დაშვებული შეცდომის)} \text{ ალბათობა | სხვა მიზეზების არარსებობისას;}$
  - $p_{\text{თაღლითობა}} = \text{ზარალის გამომწვევი } \overline{\text{თაღლითური სარჩელის}} \text{ ალბათობა | სხვა მიზეზების არარსებობისას.}$
- შემოვიდოთ ამ ალბათობებისათვის რიცხვითი მნიშვნელობები, მაგალითად, ასეთი:

$$p_{\text{გართვა}} = P(\text{ზარალი} | \overline{\text{მართვა}}, \overline{\text{სელექცია}}, \overline{\text{თაღლითობა}}) = 0.4$$

$$p_{\text{სელექცია}} = P(\text{ზარალი} | \overline{\text{მართვა}}, \overline{\text{სელექცია}}, \overline{\text{თაღლითობა}}) = 0.8$$

$$p_{\text{თაღლითობა}} = P(\text{ზარალი} | \overline{\text{მართვა}}, \overline{\text{სელექცია}}, \overline{\text{თაღლითობა}}) = 0.9$$

მაშინ პირობით ალბათობათა მთელი სიმრავლე მოცემული იქნება ცხრ. 1-ში.

#### ცხრილი 1. პირობით ალბათობათა მთლიანი ცხრილი ზარალით მუშაობის შემთხვევაში

No $k$	მართვა $X_1$	სელექცია $X_2$	თაღლითობა $X_3$	მიზეზ-შედეგობრივი ბმის ალბათობა $P_{ky}$ $Y - \text{ზარალი}$
	$(\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3)_k$			
1	$x_1$	$x_2$	$x_3$	$P_{1y} = 1 - (1 - p_4)(1 - p_6)(1 - p_7)$ $1 - (1 - 0.4)(1 - 0.8)(1 - 0.9) = 0.988$
2	$x_1$	$x_2$	$\overline{x_3}$	$P_{2y} = 1 - (1 - p_4)(1 - p_6)$ $1 - (1 - 0.4)(1 - 0.8) = 0.88$
3	$x_1$	$\overline{x_2}$	$x_3$	$P_{3y} = 1 - (1 - p_4)(1 - p_7)$ $1 - (1 - 0.4)(1 - 0.9) = 0.94$
4	$x_1$	$\overline{x_2}$	$\overline{x_3}$	$P_{4y} = p_4$ <b>0.4</b> აქსერტის შეფასებით
5	$\overline{x_1}$	$x_2$	$x_3$	$P_{5y} = 1 - (1 - p_6)(1 - p_7)$ $1 - (1 - 0.8)(1 - 0.9) = 0.980$
6	$\overline{x_1}$	$x_2$	$\overline{x_3}$	$P_{6y} = p_6$ <b>0.8</b> აქსერტის შეფასებით
7	$\overline{x_1}$	$\overline{x_2}$	$x_3$	$P_{7y} = p_7$ <b>0.9</b> აქსერტის შეფასებით
8	$\overline{x_1}$	$\overline{x_2}$	$\overline{x_3}$	$P_{8y} = 1 - (1 - 0)(1 - 0)(1 - 0)$ $1 - (1 - 0)(1 - 0)(1 - 0) = 0.0$

ამ მეთოდის ნაკლი ის არის, რომ იგი ნულოვან შეფასებას აძლევს ალბათობას  $P_{8y} = P(\text{ზარალი} | \overline{\text{მართვა}}, \overline{\text{სელექცია}}, \overline{\text{თაღლითობა}})$ , თუმცა ზარალის შეიძლება ადგილი პქნდეს მართვის შეცდომის, სელექციური შეცდომის (საინვესტიციოდ ღია შერჩევის დაშვებული შეცდომის) და თაღლითური სარჩელის გარეშეც. ეს იმიტომ ხდება, რომ ქსელი არ ითვალისწინებს სადაზღვევო ოპერაციებთან დაკავშირებულ სხვა მრავალ მიზეზებისაც, რომელსაც ზარალი ახლავს (ცხრ. 2).

ცხრილი 2. სადაზღვეო ოპერაციებთან დაკავშირებული ზარალის შესაძლო მიზეზები

მიმდინარე	სპეციალური	საინვესტიციო	არატექნიკური	საქსპერტო
თარიფების არასაქმარისობა სადაზღვეო ოპერაციათა ფაქტობრივი წამგებიანობის მიმართ	სადაზღვეო ხდომილების ხასიათის და გარემოებათა ცვლილება	აქტივების შეფასების არაადეკვატურობა	საჭანონმდებლო ბაზის ცვლილება	თადღითური სადაზღვეო ოპერატორის შეფასება დაგიტიზირება პრეტენზიად
შეცდომა ვალდებულებათა დასაფარავად აუცილებელი სადაზღვეო ფონდის სახსრების კალკულაციასა და წინაპირობათა არჩევაში	შეცდომა საინვესტიციო ობიექტის შეჩევაში (სელექციის შეცდომა)	აქტივების გაუფასურება	ეპონომიკის საერთო მდგომარეობასთ ან დაკავშირებული ბიზნესის რისკი	
ზარალის კუმულაცია	სადაზღვეო პორტფელის შედგენილობისა და სტრუქტურის ცვლილება ნავარაუდევთან შედარებით	აქტივების ფულად სახსრებში სწრაფი გადაყვანის შეუძლებლობა (აქტივების არალიკვიდობა)	მზღვეველის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით განპირობებული რისკი	
		მომგებიანობის ნორმის რისკი (მოგების შეფარდება აქტივებთან, კაპიტალთან)	მართვის რისკი	
		მონაწილეობის რისკი	დებიტორებისგან თანხის არმილების (არასრულად მიღების) რისკი	
		დროითი რისკი		

ცხრილი 3. პირობითი ალბათობის მთლიანი ცხრილი უდანაკარგოდ მუშაობის შემთხვევაში

No k	მართვა $X_1$	სელექცია $X_2$	თაღლითობა $X_3$	$P_{\bar{y}} = \frac{\bar{Y} - \text{ზარალი}}{\bar{Y}}$
	$(\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3)_k$			
1	$x_1$	$x_2$	$x_3$	$P_{1\bar{y}} = P_{1y} = 1 - 0.988 = 0.012$
2	$x_1$	$x_2$	$\bar{x}_3$	$P_{2\bar{y}} = P_{2y} = 1 - 0.88 = 0.12$
3	$x_1$	$\bar{x}_2$	$x_3$	$P_{3\bar{y}} = P_{3y} = 1 - 0.94 = 0.06$
4	$x_1$	$\bar{x}_2$	$\bar{x}_3$	$P_{4\bar{y}} = P_{4y} = 1 - 0.4 = 0.6$ აქტივების შეფასებით
5	$\bar{x}_1$	$x_2$	$x_3$	$P_{5\bar{y}} = P_{5y} = 1 - 0.98 = 0.02$
6	$\bar{x}_1$	$x_2$	$\bar{x}_3$	$P_{6\bar{y}} = P_{6y} = 1 - 0.8 = 0.2$ აქტივების შეფასებით
7	$\bar{x}_1$	$\bar{x}_2$	$x_3$	$P_{7\bar{y}} = P_{7y} = 1 - 0.9 = 0.1$ აქტივების შეფასებით
8	$\bar{x}_1$	$\bar{x}_2$	$\bar{x}_3$	$P_{8\bar{y}} = P_{8y} = 1 - 0.0 = 1.0$

ასევე შეიძლება დადგინდეს პირობითი მიზეზ-შედეგობრივი ბმის ალბათობების ცხრილი იმ შემთხვევაშიც, როცა წინა სამი (მართვის შეცდომის, სელექციური

შეცდომის საინგენიერო თაღიერის შერჩევისას და თაღლითური სარჩელის) ფაქტორის პირობებში ზარალს აღგილი არ აქვს.

ამ მიზნით სსენებული ფაქტორების ყოველი კომბინაციისათვის სადაზღვევო კომპანიის უდანაკარგო მდგომარეობის  $P_{ky}$  ( $k=1, 2, \dots, 2^n$ ) ალბათობა უბრალოდ დაიფ-ვანება შემდეგ ფორმულამდე:  $P_{ky} = P_{ky}$  ( $k=1, 2, \dots, 2^n$ ), რაც ასახულია ცხრ. 3-ში.

**შეფასებათა შეთანხმებულობის შემოწმება.** ექსპერტის შეფასებათა ანალიზურ შედეგთან თანხვედრის შემოწმების საშუალებას შეთანხმებულობის ტესტი იძლევა. სახელდობრ, ხმაურიანი ან-ის მოდელში ტესტი მდგომარეობს ექსპერტის მიერ შეფასებული  $P_{yjlb}$  ( $Y$ ) ალბათობის შედარებაში სრულ (ჯამურ) ალბათობათა ფორმას-თან  $P(Y)$  სიდიდისათვის, რომელსაც, მაგალითად, ოთხი  $(Y, X_1, X_2, X_3)$  ცვლადის პირობებში შემდეგი სახე ექნება:

$$\begin{aligned} P(Y) = & P\left(Y = y \mid X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3}\right) \times P\left(X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3}\right) + \\ & + P\left(Y = y \mid X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = x_3\right) \times P\left(X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = x_3\right) + \\ & + P\left(Y = y \mid X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3}\right) \times P\left(X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3}\right) + \\ & + P\left(Y = y \mid X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3\right) \times P\left(X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3\right) + \\ & + P\left(Y = y \mid X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3\right) \times P\left(X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3\right) + . \quad (1) \\ & + P\left(Y = y \mid X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3}\right) \times P\left(X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3}\right) + \\ & + P\left(Y = y \mid X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3}\right) \times P\left(X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3}\right) + \\ & + P\left(Y = y \mid X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = x_3\right) \times P\left(X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = x_3\right). \end{aligned}$$

თუ შედეგი სწორი არ არის, ე.ი.  $P(Y) \neq P_{yjlb}$  ( $Y$ ), მაშინ საჭიროა შეფასებთა გასწორება:

- ან ხელით - ექსპერტის მიერ ალბათობების გადაფასებით, ე.ი. ხელახლად შეფასებით;
- ან ავტომატურად - ალბათობათა ცვლილებით მათი თანაფარდობის დაურღვევ-ლად, ვიდრე არ შესრულდება მისაღები სიზუსტით ორი გზით დადგენილ ალბათობათა ტოლობა.

თუ სადაზღვევო კომპანიის  $Y$  ზარალს განაპირობებს მხოლოდ სამი ფაქტორი -  $X_1$  მართვა,  $X_2$  სელექცია და  $X_3$  თაღლითობა, მაშინ საკმარისია თითოეული ამ ოთხი  $(Y, X_1, X_2, X_3)$  ცვლადის მარგინალური ალბათობები განსაზღვროს ექსპერტმა სათანადო თანაფარდობებით:

$$\left. \begin{aligned} P_{yjlb} (Y) &\equiv P_{yjlb} (Y = y) = P(\text{ზარალი} = \text{«} კი \text{»}) \\ P(X_1 = x_1) &= P(\text{მართვა} = \text{«} კი \text{»}) \\ P(X_2 = x_2) &= P(\text{სელექცია} = \text{«} კი \text{»}) \\ P(X_3 = x_3) &= P(\text{თაღლითობა} = \text{«} კი \text{»}) \end{aligned} \right\}. \quad (2)$$

პირველი ფორმულის ყოველი მეორე თანამამრავლისათვის კი გვაქვს:

$$\left. \begin{aligned} P(X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3}) &= P(x_1)(1 - P(x_2))(1 - P(x_3)) \\ P(X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = x_3) &= (1 - P(x_1))P(x_2)P(x_3) \\ P(X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3}) &= (1 - P(x_1))P(x_2)(1 - P(x_3)) \\ P(X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3) &= P(x_1)(1 - P(x_2))P(x_3) \\ P(X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3) &= (1 - P(x_1))(1 - P(x_2))P(x_3) \\ P(X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3}) &= P(x_1)P(x_2)(1 - P(x_3)) \\ P(X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3}) &= (1 - P(x_1))(1 - P(x_2))(1 - P(x_3)) \\ P(X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = x_3) &= P(x_1)P(x_2)P(x_3) \end{aligned} \right\}. \quad (3)$$

უკანასკნელი სამი ფორმულისა და პირველი ცხრილის მონაცემთა გათვალისწინებით, მივიღებთ:

$$\begin{aligned} P(Y) &= P(Y = y | X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3})P(x_1)(1 - P(x_2))(1 - P(x_3)) + \\ &+ P(Y = y | X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = x_3)(1 - P(x_1))P(x_2)P(x_3) + \\ &+ P(Y = y | X_1 = \overline{x_1}, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3})(1 - P(x_1))P(x_2)(1 - P(x_3)) + \\ &+ P(Y = y | X_1 = x_1, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3)P(x_1)(1 - P(x_2))P(x_3) + \\ &+ P(Y = y | X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = x_3)(1 - P(x_1))(1 - P(x_2))P(x_3) + \\ &+ P(Y = y | X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = \overline{x_3})P(x_1)P(x_2)(1 - P(x_3)) + \\ &+ P(Y = y | X_1 = \overline{x_1}, X_2 = \overline{x_2}, X_3 = \overline{x_3})(1 - P(x_1))(1 - P(x_2))(1 - P(x_3)) + \\ &+ P(Y = y | X_1 = x_1, X_2 = x_2, X_3 = x_3)P(x_1)P(x_2)P(x_3). \end{aligned}$$

ახლა კი ეს  $P(Y)$  ალბათობა საკმარისია შეფასდეს ექსპერტის მიერ მოცემულ

$P_{y|abc}(Y = y)$  სიდიდეს და დადგინდეს ამ ორ მნიშვნელობათა თანხმობის ხარისხი.

**რიცხვითი მაგალითი.** სიმარტივისათვის ამ ალგორითმის სადემონსტრაციოდ, მაგალითად, დავუშვათ, რომ  $Y$  ზარალს განაპირობებს, მე-[14] ნაშრომის შესაბამისად, მხოლოდ ორი ფაქტორი -  $X_1$  შეცდომა და  $X_2$  სუსტი მართვა, ხოლო ექსპერტს განსაზღვრული აქვს თითოეული ცვლადის მარგინალური ალბათობები შემდეგი თანაფარდობებით:

$$\left. \begin{aligned} P(Y = y) &= P(\text{ზარალი} = \text{«კი»}) = 0.0002 \\ P(X_1 = x_1) &= P(\text{შეცდომა} = \text{«კი»}) = 0.001 \\ P(X_2 = x_2) &= P(\text{სუსტი} \text{ მართვა} = \text{«კი»}) = 0.0001 \end{aligned} \right\}.$$

ჩავთვალოთ აგრეთვე, რომ ექსპერტმა ამ შემთხვევაში შესაძლებელი ოთხი პირობითი ალბათობიდან შემდეგი ორიც განსაზღვრა:

$$\left. \begin{aligned} P(\text{ზარალი} = \text{«კი»} | \text{შეცდომა} = \text{«კი»}, \text{სუსტი} \text{ მართვა} = \text{«არა»}) &= 0.1 \\ P(\text{ზარალი} = \text{«კი»} | \text{შეცდომა} = \text{«არა»}, \text{სუსტი} \text{ მართვა} = \text{«კი»}) &= 0.99 \end{aligned} \right\}.$$

მაშინ აქვდან დავადგენო დანარჩენ ორ ალბათობასაც:

$$\left. \begin{aligned} P(\text{ზარალი} = \text{«კი»} | \text{შეცდომა} = \text{«კი»}, \text{სუსტი} \text{ მართვა} = \text{«კი»}) &= \\ = 1 - (1 - 0.1) * (1 - 0.99) &= 1 - 0.009 = 0.991 \\ P(\text{ზარალი} = \text{«კი»} | \text{შეცდომა} = \text{«არა»}, \text{სუსტი} \text{ მართვა} = \text{«არა»}) &= 0.0 \end{aligned} \right\}.$$

როგორც ვხედავთ, ამ მეთოდის სუსტი მხარე ის არის, რომ იგი ნულის ტოლად მიიჩნევს  $P(\text{ზარალი} = \text{«კი»} | \text{შეცდომა} = \text{«არა»}, \text{სუსტი } \text{კონტროლი} = \text{«არა»})$  ალბათობას.

თუ ამ მაგალითში მივმართავთ ტესტირებას, მაშინ მივიღებთ;

$$\left. \begin{aligned} P(Y = y) &= P\left(Y = y | X_1 = x_1, X_2 = \bar{x}_2\right) \times P\left(X_1 = x_1, X_2 = \bar{x}_2\right) + \\ &+ P\left(Y = y | X_1 = \bar{x}_1, X_2 = x_2\right) \times P\left(X_1 = \bar{x}_1, X_2 = x_2\right) + \\ &+ P\left(Y = y | X_1 = x_1, X_2 = x_2\right) \times P\left(X_1 = x_1, X_2 = x_2\right) + \\ &+ P\left(Y = y | X_1 = \bar{x}_1, X_2 = \bar{x}_2\right) \times P\left(X_1 = \bar{x}_1, X_2 = \bar{x}_2\right) \end{aligned} \right\}.$$

ვინაიდან აქ

$$\left. \begin{aligned} P(X_1 = x_1, X_2 = \bar{x}_2) &= P(X_1 = x_1) * P(X_2 = \bar{x}_2) = P(X_1 = x_1) * (1 - P(X_2 = x_2)) = \\ &= 0.001 * (1 - 0.0001) = 0.001 * 0.9999 = 0.0009999 \\ P(X_1 = \bar{x}_1, X_2 = x_2) &= P(X_1 = \bar{x}_1) * P(X_2 = x_2) = (1 - P(X_1 = x_1)) * P(X_2 = x_2) = \\ &= (1 - 0.001) * 0.0001 = 0.999 * 0.0001 = 0.0000999 \\ P(X_1 = x_1, X_2 = x_2) &= P(X_1 = x_1) * P(X_2 = x_2) = 0.001 * 0.0001 = 0.0000001 \\ P(X_1 = \bar{x}_1, X_2 = \bar{x}_2) &= P(X_1 = \bar{x}_1) * P(X_2 = \bar{x}_2) = (1 - P(X_1 = x_1)) * (1 - P(X_2 = x_2)) = \\ &= (1 - 0.001) * (1 - 0.0001) = 0.999 * 0.9999 = 0.9989001 \end{aligned} \right\},$$

ამიტომ

$$\left. \begin{aligned} P(Y = y) &= 0.1 * 0.0009999 + 0.99 * 0.0000999 + 0.991 * 0.0000001 + 0.0 * 0.9989001 = \\ &= 0.00009999 + 0.000098901 + 0.0000000991 + 0.0 = 0.0001989901. \end{aligned} \right.$$

ექსპერტმა კი ეს ალბათობა შეაფასა  $P(Y = y) = P(\text{ზარალი} = \text{«კი»}) = 0.0002$  სიდიდით, რაც საკმაოდ ახლოს არის ანალიზურად დადგენილთან და, მაშასადამე, მისაღებია.

**დასკვნა.** «ხმაურიანი ან» მოდელი პირველად პერლის მიერ იყო შემოთავაზებული [1] და გამოყენებული მომდევნო კვლევებში [9, 11, 12, 13]. მაგრამ მოდელის გავრცობა მოხდა, უმთავრესად, სამედიცინო დიაგნოსტიკაში – შემთხვევაზე, როცა დიაგნოზის არსის მქონე  $Y$  ცვლადი (შვილი) ჭეშმარიტი შეიძლება იყოს ყოველგვარი სიმპტომის არსის მქონე  $X_i (1 = \bar{1}, n)$  მშობლის გარეშე ([2] კაზიმაურიანი ან-ელე-მენტი) და ასევე იმ შემთხვევაზეც, როცა ცვლადები მრავალნიშნაა და არა ბინარული ([2, 3] – განზოგადებული ხმაურიანი ან-ელე-მენტი, [4] - ხმაურიანი MAX-ელე-მენტი).

ასეთმა მიღობმამ კარგი შედეგები გამოიღო ზოგ სფეროში. მაგალითად, იმავე სამედიცინო დიაგნოსტიკის ფარგლებში მე-[5] და მე-[6] ნაშრომების ავტორებმა ხელახლი ფორმულირება მისცეს Internist საექსპერტო სისტემას მოდერნიზებული ბაიესური ქსელის სახით ხმაურიანი «ან» მოდელის გამოყენებით. მე-[7] ნაშრომში ავტორები მიმართავენ ასევე ტიპის მოდელირებას გართულებათა გამოვლენის (დეტაქტირების) პრობლემისათვის სისხლის გადასხმის დროს. მათ ბაიესურ ქსელს 16 კვანძი აქვთ. ესენია: 10 კლინიკური ან ბიოლოგიური სიმპტომი და 6 მოსალოდნელი გართულება.

დეინდის (პეპატიტის) პრობლემათა დიაგნოსტიკის ფარგლებში [10] იყენებს ბაიესურ ქსელს 73 კვანძით (მათ შორის 66 კვანძი დეინდის თვისებათა ესა თუ ის მახასიათებელია, ხოლო დანარჩენი 7 - დიაგნოსტიკური). ხსენებულ ქსელში 27 პორტითი ალბათობის სიმკრივე 73-დან წარმოდგენილია «ხმაურიანი ან» მოდელით.

CPCS (Computer-based Patient Case Simulation system) სისტემა, რომელიც Internist სისტემის ერთ-ერთი მომდევნო გაფართოებაა, ასევე იყენებს ბაიესურ ქსელს შინაგან სხეულებათა მედიცინისათვის ავადმყოფობასა და სიმპტომებს შორის დამოკიდებულებათა მოდელირებით noisy-OR და noisy-MAX ტიპის მრავალდონიან ელემენტებზე შუალედური (გარდამავალი) ცვლადების გამოყენებისას სიმპტომებსა და დიაგნოზებს (დასკვნებს) შორის [8]. 448 კვანძის და 908 რკალის პირობებში ასეთი ქსელის პირობით ალბათობათა ცხრილების სრული ნაკრების მისაღებად საკმარისია მხოლოდ 8 254 ალბათობა 133 931 430 ალბათობის ნაცვლად.

ამრიგად, ბაიესური ქსელისა და მისი ე.წ. «ხმაურიანი ან» მოდელის გადატანა მედიცინიდან სადაზღვევო სექტორში შესაბამისი პრობლემების მოდელირებისათვის, მოკლებული არ არის ინტერესს.

#### ლიტერატურა

1. PEARL J. Fusion, Propagation, and Structuring in Belief Networks. //*Artificial Intelligence*, 1986, vol. 29, pp. 241-288.
2. HENRION M. Some Practical Issues in Constructing Belief Networks. /*Uncertainty in Artificial Intelligence* 3, vol. 8, *Machine Intelligence and Pattern Recognition*, pp. 161-174, North-Holland, Amsterdam, 1989.
3. SRINIVAS S. A Generalization of the Noisy-Or Model. / *Proceedings of the 9th Conference on Uncertainty in Artificial Intelligence*, San Mateo, CA, USA, July 1993, -Morgan Kaufmann Publishers, pp. 208-215.
4. DIEZ F. J. Parameter adjustment in Bayes networks. The generalized noisy OR-gate. /*Proceedings of the 9th Conference on Uncertainty in Artificial Intelligence*, Washington D.C., 1993, Morgan Kaufmann, San Mateo, CA, pp. 99-105.
5. SHWE M., MIDDLETON B., HECKERMAN D., HENRION M., HORVITZ E., LEHMANN H., COOPER G. Probabilistic diagnosis using a reformulation of the INTERNIST- 1/QMR knowledge base: Part I. The probabilistic model and inference algorithms. //*SIAM Journal on Computing*, vol. 30, 1991, pp. 241–250.
6. MIDDLETON B., SHWE M., HECKERMAN D., HENRION M., HORVITZ E., LEHMANN H., COOPER G. Probabilistic diagnosis using a reformulation of the INTERNIST- 1/QMR knowledge base: Part II. Evaluation of diagnostic performance. // *SIAM Journal on Computing*, 1991, vol. 30, pp. 256-267.
7. LEPAGE E., FIESCHI M., TRAINEAU R., GOUVERNET J., CHASTANG C. Système d'aide à la décision fondé sur un modèle de réseau bayésien application à la surveillance transfusionnelle. / *Informatique et santé*, 1992, vol. 5, pp. 76-87.
8. PRADHAN M., PROVAN G., MIDDLETON B., HENRION M. Knowledge Engineering for Large Belief Networks. /*Proceedings of the Tenth Annual Conference on Uncertainty in Artificial Intelligence (UAI-94)*, San Francisco, CA, 1994, Morgan Kaufmann Publishers, pp. 484-490.
9. PEARL J. Probabilistic Reasoning in Intelligent Systems: Networks of Plausible Inference, 1988
10. ONISKO A, DRUZDZEL MJ, WASYLUK H. Learning Bayesian network parameters from small data sets : Application of Noisy-OR gates. /*Working Notes of the Workshop on Bayesian and Causal Networks : From Inference to Data Mining, 12th European Conference on Artificial Intelligence (ECAI-2000)*, Berlin, Germany, 2000.
11. CAIN J. Planning improvements in natural resources management. Centre for Ecology and Hydrology, UK, 2004.
12. DIEZ F.J., Canonical probabilistic models for knowledge engineering. 2003
13. HECKERMAN DE, BREESE JS. A new look at causal independence. /*Proceedings of the 10th Annual Conference on Uncertainty in Artificial Intelligence (UAI-94)*; 1994, pp. 286-292.
14. GAMONET J. Modélisation du risque opérationnel dans l'assurance, Mémoire d'actuarial, Centre d'Études Actuarielles, Institut des Actuaires, Paris, Promotion 2006: [https://www.scor.com/images/stories/pdf-library/actuarial-prize/2010\\_france\\_memoire\\_juliegamonet.pdf](https://www.scor.com/images/stories/pdf-library/actuarial-prize/2010_france_memoire_juliegamonet.pdf)

#### SUMMARY

#### BAYESIAN NETWORK FOR EVALUATION OF THE INSURANCE COMPANY LOSSES BASED ON THE "NOISY-OR" MODEL

Prangishvili A.I. and Namicheishvili N.O.

Georgian Technical University

Noisy-OR is a special case of the specification of the conditional probability table (CPT) in the Bayesian network, where the number of parameters is linear on the number of parents of a node. The idea is that each parent is capable to execute its influence on the node independently of other parents, whereby the individual effects are then summarized with the Boolean function OR. In this paper, the assessment of the insurance company loss is being studied, based on the noisy-OR model. The central component in a model-based decision support system is the noisy-OR gate. A loss estimation model specifies dependence relations between the loss and a set of characteristics, including a fraudulent claim, control and selection. The model calculates the probability of loss based on the given information about the control errors, selection errors of the object investment (selective errors) and fraudulent claims of the customer. In principle, the model can include any number of variables and have any graphical structure of the noisy-OR gate. Experience has shown that even the model with relatively few indicators and a simple structure can operate with impressive accuracy. The model is constructed from expert experience and domain knowledge, or historical data, or a combination of the sources. The typical process of development of a loss model consists of the following sequence of steps: Data collection and preparation; Network structure specification; Specification of expert knowledge and parameter estimation; Model evaluation; Consistency test of expert judgement with numeric analysis of a task. Generally speaking, the loss model can have any acyclic directed graph structure. The simple structure of the noisy-OR gate, however, is the most admissible structure of the insurance loss model, and this paper shows that this type of a model is well-suited for loss prediction.

**Keywords:** loss, insurance loss, Bayesian networks, noisy-OR gate model, insurance, fraudulent claim, conditional probability, expert judgment.

## ხელშემლამდგრადი პოლების აზების შესაძლებლობები მჩერზე

შაგგულიძე ს.ა., წიკლაური გ.ზ., ასანიძე ა.ვ., მთვრალაშვილი თ.ი.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

#### 1. შესაგალი

მესერები [1] დაკავშირებულია სხვადასხვა გეომეტრიულ ამოცანებთან, ისევე როგორც მათემატიკის სხვა მიმართულებებთან, მაგალითად, რიცხვთა ოქორიასა და კომბინატორიკასთან. ამასთან, მესერების მთავარი გამოყენება წმინდა მათემატიკური დანიშნულების გარდა სხვა საინჟინრო საკითხების გადაჭრისას, ეს არის არხის კოდირების და მოდულაცია-კოდირების სისტემების შემუშავება გაუსის ტიპის საკომუნიკაციო არხებისათვის. კოდების შემუშავება ამ პრობლემისათვის ექვივალენტურია სფერული შეფუთვის პრობლემისა: აუცილებელია გაქონდეს საუკეთესო სფერული შეფუთვა დიდი რაოდენობის განზომილებებისათვის რათა თეორიულად გამოვიყლით საინფორმაციო გამტარუნარიანობა სპექტრალურად შეზღუდული არხებისათვის, სადაც ზემოქმედებას ახდენს გაუსის თეორი სმაური. სფერული შეფუთვები შედარებით მცირე რაოდენობის განზომილებისათვის ასევე გამოყენებულია პრაქტიკულად რეალიზებადი სიგნალურ-კოდური კონსტრუქციების შემუშავებისას. ზოგადად, მესერები შეიძლება გამოყენებული იქნას ი-განზომილებიანი შეცდომების მაკონტროლებელი კოდების აგების პროცესში და როგორც ასეთ კოდები, მესერები შეიძლება ასევე წარმოდგენილი იქნას წარმომქმნელი და შემმოწმებელი მატრიცების მეშვეობით. ასევე შესაძლებელია მესერებისათვის ეფექტური დეკოდირების ალგორითმების შემუშავება. იმის გათვალისწინებით, რომ უსადენო ქსელები წრფივი სისტემებია და ხმაური შეიძლება განხილული იყოს როგორც გაუსის თეორი სმაური, მესერები შეიძლება გამოყენებული იქნას არხის გამტარუნარიანობის, ან ისეთი სიჩქარეების მისაღწევად, რომლებიც ძალზე ახლოსაა განხილული არხის გამტარუნარიანობასთან.

სიგნალური სისტემების (კონსტრუქციების) პელევას, რომელთაც აქვთ ალგებრული თვისებები, გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია. ორ განზომილებიან სიგნალთა კონსტრუქციების მაგალითებია ფაზური მოდულაცია [2], გაუსის მთელი რიცხვები [3,4], ეიზენშტეინის მთელი რიცხვები [5]. ასეთი კონსტრუქციები წარმოდგენილ იქნა რათა აგებული ყოფილიყო წრფივი ან ჯგუფური კოდები კომპლექსური რიცხვების შემცველ ალფაბეტზე. გაუსის და ეიზენშტეინის მთელი რიცხვები წარმოადგენენ კომპლექსურ რიცხვებს, რომელთა რეალური და წარმოსახვითი ნაწილი მთელი რიცხვებია. შესაბამისად, მრავალი ცნობილი კოდირების და დეკოდირების ალგორითმი იქნა მისადაგებული ასეთ ალფაბეტზე აგებულ კოდებზე [3-5]. როგორც ნაჩვები იყო [6]-ში მრავალ დონიანი კოდირებისათვის მრავალ განზომილებიან სიგნალთა კონსტრუქციებს გააჩნიათ უპირატესობები ორ განზომილებიან სიგნალთა კონსტრუქციებთან შედარებით. შესაბამისად, ჩვენ მიერ შემუშავებულია ახალი კოდირებული სიგნალური კონსტრუქციების აგების, კოდირების და დეკოდირების მეთოდები ოთხ განზომილებიან ლიფშიცის მთელ რიცხვებზე [7]. სხვა კოდური კონსტრუქციები ლიფშიცის მთელ რიცხვებზე მოცემულია მაგალითად [8]-ში.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ მესერების წარმომქმნელი მატრიცების მარტივი მათემატიკური გარდაქმნების საშუალებით, ეიზენშტეინის, გაუსის და ლიფშიცის მთელი რიცხვები ექვივალენტური სახით შეიძლება წარმოდგენილი იქნას, როგორც შესაბამისი მესერები. ამგვარად, ასეთ სტრუქტურებზე აგებული ხელ შეშლამდგრადი კოდებიც შეიძლება განხილული იქნას, როგორც მესერებზე აგებული კოდები, რაც ჩვენის აზრით მომავალში მოგვცემს იმის საშუალებას, რათა შევიძუშავოთ ასეთი კოდების აგების, კოდირების და დეკოდირების ეფექტური პროცედურები.

2.  $A_2$  მესერი და ორგანზომილებიანი (2D) ეიზენშტეინის მთელი რიცხვები.

n-განზომილებიანი  $A_n$  მესერების სიმრავლე განისაზღვრება  $n+1$  განზომილებით შემდეგი გამოსახულებით [1]

$$A_n = \{[x_0, x_1, \dots, x_n] \in \mathbb{Z}^{n+1} \mid x_0 + x_1 + \dots + x_n = 0\},$$

რომელსაც მივყავართ  $n \times n+1$  წარმომქმნელ მატრიცასთან (ჩვენ ვიყენებთ ვექტორ-სტრიქონებს)

$$G_n = \begin{bmatrix} -1 & 1 & 0 & 0 & \cdots & 0 \\ 0 & -1 & 1 & 0 & \cdots & 0 \\ \vdots & & \ddots & \ddots & & 0 \\ 0 & \cdots & 0 & -1 & & 1 \end{bmatrix}.$$

თუ გვაქვს  $A_2$ , ე.ო. პექსაგონალური მესერი, ჩვენ მივიღებთ

$$G_2 = \begin{bmatrix} -1 & 1 & 0 \\ 0 & -1 & 1 \end{bmatrix}.$$

აქედან, გრამ-შმიდტის პროცედურის გამოყენებით, რომელიც შეესაბამება კოორდინატების ცვლილებას,  $2 \times 2$  ზომების წარმომქნელი მატრიცა ქვემო სამკუთხედის ფორმით შეიძლება იქნას მიღებული. ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ:

$$\begin{bmatrix} b_1 \\ b_2 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} -1 & 1 & 0 \\ 0 & -1 & 1 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} b_{11} & 0 \\ b_{21} & b_{22} \end{bmatrix} \cdot \begin{bmatrix} b'_1 \\ b'_2 \end{bmatrix},$$

სადაც

$$\|b_i\| = \|b'_i\|, \quad \forall i$$

(საბაზისო ვექტორების სიგრძე არ იცვლება, მხოლოდ მათი აღწერა არის წარმოდგენილი განსხვავებულ ბაზისში).

ჩვენ გვაქვს:

$$b'_1 = b_1 = [-1 \ 1 \ 0], \quad b_{11} = 1,$$

საიდანაც ვიღებთ

$$b_{21} = b_2(b'_1)^\top / \|b'_1\| = [0 \ -1 \ 1] \cdot [-1 \ 1 \ 0]^\top / 2 = -1/2$$

და

$$b''_2 = b_2 - b_{21}b'_1 = [0 \ -1 \ 1] - (-1/2)[-1 \ 1 \ 0] = [-1/2 \ -1/2 \ 1],$$

სადაც  $\|b''_2\|^2 = 3/2$ . აქედან, სასურველი საბაზისო ვექტორის მისაღებად, ჩვენ მოვითხოვთ

$$b_{22} = \sqrt{\frac{\|b''_2\|^2}{\|b_2\|^2}} = \sqrt{\frac{3/2}{2}} = \frac{\sqrt{3}}{2},$$

$$b'_2 = \frac{1}{b_{22}} b''_2 = \sqrt{\frac{4}{3}}[-1/2 \ -1/2 \ 1] = [-1/\sqrt{3} \ -1/\sqrt{3} \ 2/\sqrt{3}].$$

საბოლოო ჯამში ჩვენ ვიღებთ გამოსახულებას

$$\begin{bmatrix} -1 & 1 & 0 \\ 0 & -1 & 1 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 & 0 \\ -1/2 & \sqrt{3}/2 \end{bmatrix} \cdot \begin{bmatrix} -1 & 1 & 0 \\ -1/\sqrt{3} & -1/\sqrt{3} & 2/\sqrt{3} \end{bmatrix}$$

აქედან მოთხოვნილი ფორმის  $2 \times 2$  წარმომქმნელი მატრიცა  $A_2$  მესერისთვის მიიღებს შემდეგ სახეს

$$\bar{G}_2 = \begin{bmatrix} 1 & 0 \\ -1/2 & \sqrt{3}/2 \end{bmatrix}.$$

აღსანიშნავია, რომ ეიზენშტეინის მთელი რიცხვები განისაზღვრება როგორც

$$E = z_1 + \omega z_2,$$

სადაც  $\bar{z}_1, \bar{z}_2 \in \mathbb{Z}$  და  $\omega = (-1 + j\sqrt{3})/2 = e^{j2\pi/3}$  (გაუსის მთელი რიცხვებისათვის,  $\omega = j = e^{j\pi/2}$  უნდა იყოს არჩეული). ეს კი სხვა არაფერია, თუ არა კომპლექსური რიცხვების სახით  $A_2$  მესერის ელემენტების ჩაწერა, ანუ

$$\lambda = [\lambda_1 \ \lambda_2] = [\bar{z}_1 \ \bar{z}_2] \begin{bmatrix} 1 & 0 \\ -1/2 & \sqrt{3}/2 \end{bmatrix} = \left[ \bar{z}_1 - \frac{1}{2}\bar{z}_2 \quad \frac{\sqrt{3}}{2}\bar{z}_2 \right]$$

შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც

$$\lambda_1 + j\lambda_2 = \left( \bar{z}_1 - \frac{1}{2}\bar{z}_2 \right) + j\left( \frac{\sqrt{3}}{2}\bar{z}_2 \right) = \bar{z}_1 + \left( -\frac{1}{2} + j\frac{\sqrt{3}}{2} \right) \bar{z}_2 = \bar{z}_1 + \omega \bar{z}_2 .$$

3.  $A_4$  მესერი და ოთხგანზომილებიანი (4D) ლიფშიცის მთელი რიცხვები.

მესერები განისაზღვრება წარმომქმნელი მატრიცით, ზომებით  $5 \times 4$ , ანუ

$$G_4 = \begin{bmatrix} -1 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & -1 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & -1 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & -1 & 1 \end{bmatrix} .$$

აქედან, გრამ-შმიდტის პროცედურის გამოყენებით, რომელიც შეესაბამება კოორდინატების ცვლილებას,  $4 \times 4$  ზომების წარმომქნელი მატრიცა ქვემო სამკუთხედის ფორმით შეიძლება იქნას მიღებული. ჩვენ გვაქვს

$$b_{11} = 1 ,$$

$$b'_1 = b_1 = [-1 \ 1 \ 0 \ 0 \ 0] ,$$

შემდეგ ვითვლით,

$$b_{21} = b_2(b'_1)^\top / \|b'_1\| = [0 \ -1 \ 1 \ 0 \ 0] \cdot [-1 \ 1 \ 0 \ 0 \ 0]^\top / 2 = -1/2 ,$$

$$b''_2 = b_2 - b_{21}b'_1$$

$$= [0 \ -1 \ 1 \ 0 \ 0] - (-1/2)[-1 \ 1 \ 0 \ 0 \ 0]$$

$$= [-1/2 \ -1/2 \ 1 \ 0 \ 0] ,$$

$$b_{22} = \sqrt{\|b''_2\|^2 / \|b_2\|^2} = \sqrt{3/4} = \sqrt{3}/2 ,$$

$$b'_2 = \frac{1}{b_{22}} b''_2$$

$$= 2/\sqrt{3}[-1/2 \ -1/2 \ 1 \ 0 \ 0]$$

$$= [-1/\sqrt{3} \ -1/\sqrt{3} \ 2/\sqrt{3} \ 0 \ 0] .$$

ამის შემდეგ ვიღებთ

$$b_{31} = b_3(b'_1)^\top / \|b'_1\|$$

$$= [0 \ 0 \ -1 \ 1 \ 0] \cdot [-1 \ 1 \ 0 \ 0 \ 0]^\top / 2$$

$$= 0 ,$$

$$b_{32} = b_3(b'_2)^\top / \|b'_2\|$$

$$= [0 \ 0 \ -1 \ 1 \ 0] \cdot [-1/\sqrt{3} \ -1/\sqrt{3} \ 2/\sqrt{3} \ 0 \ 0]^\top / 2$$

$$= -1/\sqrt{3} ,$$

$$b''_3 = b_3 - b_{31}b'_1 - b_{32}b'_2$$

$$= [0 \ 0 \ -1 \ 1 \ 0] - (-1/\sqrt{3})[-1/\sqrt{3} \ -1/\sqrt{3} \ 2/\sqrt{3} \ 0 \ 0]$$

$$= [-1/3 \ -1/3 \ -1/3 \ 1 \ 0] ,$$

$$b_{33} = \sqrt{\|b''_3\|^2 / \|b_3\|^2} = \sqrt{(4/3)/2} = \sqrt{2/3} ,$$

$$b'_3 = \frac{1}{b_{33}} b''_3$$

$$= \sqrt{3/2}[-1/3 \ -1/3 \ -1/3 \ 1 \ 0]$$

